

თეა ტეტელოშვილი

„-ღა“ ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში

ენაში მუდმივად მიმდინარე ცვლილებების გამო შესაძლოა ამა თუ იმ ფორმამ დროთა განმავლობაში გამოყენების არეალი გაიფართოოს ან, პირიქით, მოქმედების ასპარეზი დათმოს. სწორედ ამიტომ პერიოდულად წარმოიშობა სალიტერატურო ენის ნორმათა გადახედვის საჭიროება. ამ თვალსაზრისით ჩვენ უკვე შევხვებთ **-მე** ნაწილაკიანი ნაცვალსახელების მართლწერის საკითხებს („ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი XVI), ამჯერად კი ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა **-ღა** ნაწილაკიანი ნაცვალსახელების ბრუნება ქართული სალიტერატურო ენის მოქმედ ნორმებთან მიმართებით.

-ღა ნაწილაკი დაერთვის **ვინ** და **რა** ნაცვალსახელებს და ვიღებთ **ვიღა**/**ვინღა**, **რადღა** ფორმებს. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, ძირითადად მიჩნეულია შეხორცებული ბრუნვის ფორმები, დასაშვებად – შეუხორცებელი, ნარევი კი უგულვებელყოფილია [ნორმები 1986: 92].

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ **-ღა** ნაწილაკიანი **ვინ** და **რა** ნაცვალსახელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ვიღა [//ვინღა]: მოთხ. **ვიღამ**, მიც. **ვიღას** [// ვისღა], ვითარ. **ვიღად**, ნათ. **ვიღას**, მოქ. **ვიღათი** [თოფურია... 1998: 277].

რადღა: მოთხ. **რადღამ**, მიც. **რადღას** [//რასღა], ვითარ. **რადღად** [//რადღა], ნათ. **რადღას** [//რისღა], მოქმ. **რადღათი** [//რითღა] [თოფურია, გიგინეიშვილი 1998: 426].

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთან მიმართებით ზემოხსენებული ნაცვალსახელების ბრუნების შესწავლისა თუ მოქმედი ტენდენციის გამოვლენის მიზნით მივმართეთ გუგლის საძიებო სისტემასა და ქართული ენის ეროვნულ კორპუსს.

მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი¹:

I. ღა ნაწილაკიანი ვინ

	გუგლი	ქეიპი
დასაშვები ვინლა ² მეტია ძირითად ვილა -ზე	1,3-ჯერ	1,2-ჯერ
ვინლა მეტია ვილამ ფორმაზე	6,3-ჯერ	5,1-ჯერ
დასაშვები ვისთვისლა მეტია ვილასთვის ფორმაზე ³	1,5-ჯერ	
ვილასთვის ფორმა მეტია ვისთვისლა ფორმაზე		2,8-ჯერ
დასაშვები ვისგანლა მეტია ძირითად ვილასგან ფორმაზე	2,5-ჯერ	4-ჯერ

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი⁴:

ვილა – ვინლა:

თუ ჩვენ პოზიციებს არ დავიცავთ, **ვილა** დაგვიცავს?!

...თუ ზიზუ ფეხბურთიდან მიდის, უკეთესი **ვილა** რჩება.

ამაზე მსხვილი ბიზნესმენი **ვინლა** უნდა ჩამოსულიყო?

მეც რომ გავუჯავრდე, **ვინლა** უნდა მოეფეროს, დედა აქ არ ჰყავთ და მამა.

¹ მიღებული შედეგები დამრგვალებულია სათანადო წესის მიხედვით.

² რამდენადაც **ვინლა** ფორმა საერთოა სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვებისათვის, გუგლის სამიებო სისტემასა და ქართულ ეროვნულ კორპუსში მოძიებულ ფორმათა რაოდენობა გავყავით ორზე და ისე შევუფარდეთ ძირითადად მიჩნეული **ვილა** და **ვილამ** ფორმების გამოყენების სიხშირის მაჩვენებელ რიცხვს.

³ ეს ის შემთხვევაა, როდესაც გუგლის სამიებო სისტემა და ქართული ეროვნული კორპუსი ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარებას გვიჩვენებს. აქ გასათვალისწინებელია, რომ გუგლი, როგორც ჩანს, მეტად ასახავს სასაუბრო ენის მონაცემებს მაშინ, როდესაც კორპუსი, მასში შესული მხატვრული ნაწარმოებისა და ელექტრონული მედიის გავლენით, იცავს სალიტერატურო ქართულისთვის ნორმატიულ ვარიანტებს. ეს ნიშანდობლივია. სწორედ ამიტომ ამ შემთხვევისთვის მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია დადგენილი ნორმის ცვლილება.

⁴ მაგალითები მოყვანილია ქართული ეროვნული კორპუსიდან და მათში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

ვილამ – ვინლა:

ამის შემდეგ მას **ვილამ** უნდა ავნოს.

თუ მათ ნიჭს და უნარს არ გამოვიყენებთ, აბა, **ვილამ** უნდა ააშენოს ახალი ქვეყანა?

მაგრამ **ვინლა** აცალა: ყველანი დაიშალნენ.

– ეგ **ვინლა** ბრძანა? – დაინტერესდა თავგასიებული.

ვილას – ვისლა:

– მწვრთნელებიდან **ვილას** გამოყოფდით?

ახლა **ვილას** უნდა მუსიკა და ხელოვნება, უმეტესობა თავის რჩენაზე ფიქრობს.

ჭამა **ვისლა** ახსოვდა, მთელი ღამე ისმოდა გამაყრუებელი სიცილ-ხარხარი, კახური სიმღერები...

ვიფიქრე, ამ მძიმე პერიოდში **ვისლა** ემახსოვრება სოლიკო, როგორ შევაწუხო ადამიანები-თქო...

ვილასთვის – ვისთვისლა:

თორემ **ვილასთვის** არის საიდუმლო, რომ იმ ევროპამ და ამერიკამ დიდი ხანია, უარი თქვა სიგარეტზე...

ეს რეფორმატორებიც ჰო გადაუდგნენ – ვილა დარჩებოდა, ვილასი მენაველა იქნებოდა, **ვილასთვის** სჭეროდა ხელში ნიჩბები?!

მაშ, **ვისთვისლა** ხარ?! რისთვის და ვისთვის დაგაგდე მაგ ადგილზე?!

მაშინ **ვისთვისლა** ხდება შეწყალება?

ვილასგან – ვისგანლა:

ეს სიტყვები იმათ გასაგონად ითქვა, **ვილასგან** აღარ ყბადაღებულნი და კბილგაკრული უცნობილესი სარეკომენდაციო სიით რომ მოხვდნენ მალტაზე.

...თუ თავს არავინ გესხმის და არც თავად აპირებ ამას, **ვისგანლა** იცავ თავს.

რეკომენდაციები:

1. რამდენადაც დასაშვებად მიჩნეული **ვინლა** ფორმა კი არ ჩამორჩება გამოყენების სიხშირით ძირითადად მიჩნეულ **ვილა** ვარიანტს, არამედ აღემატება კიდევ, მიგვაჩნია, რომ ორთოგრაფიულ

ლექსიკონებში იგი მრგვალ ფრჩხილებში ჩასმულ პარალელურ ვარიანტად მაინც უნდა მიეთითოს;

2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ანალოგიური მიდგომის გატარება **ვიღამ** – **ვინღა** ვარიანტების შემთხვევაშიც, მითუმეტეს, რომ დასაშვები **ვინღა** ნორმატიულ **ვიღამ** ფორმას გუგლის მონაცემებით – 6,3-ჯერ, ხოლო ქართული ეროვნული კორპუსის სტატისტიკის მიხედვით – 4,1-ჯერ აღემატება;
3. **ვინღა** ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმებში უდავოდ ქარბობს შეხორცებული ვარიანტები, ამიტომ ამ შემთხვევისთვის ორთოგრაფიული ლექსიკონის ჩანაწერში კვადრატულ ფრჩხილებში პარალელურ ვარიანტად მითითებული **ვისღა** ან სხვა ბრუნვათა მონაცემების, როგორც ტენდენციის, განზოგადების გამო შეიძლება დავტოვოთ, ან საერთოდ ამოვიღოთ ჩანაწერიდან;
4. რაც შეეხება თანდებულიანი ნათესაობითის ფორმებს, აქ **-თვის** თანდებულის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, გუგლის საძიებო სისტემისა და ქართული ეროვნული კორპუსის სტატისტიკა ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარებას გვიჩვენებს. ეს უნდა იყოს შედეგი იმისა, რომ სამწერლობო ენა უფრო იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს, ვიდრე სასაუბრო ენა. რაც შეეხება **-გან** თანდებულიან ფორმებს, აქ შეუხორცებელი წარმოების გამოყენება აჭარბებს შეხორცებულისას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასაშვებად მიჩნეული შეუხორცებელი ბრუნვების ფორმები თანდებულიან ნათესაობითში შესაძლოა პარალელურ ვარიანტად იქნეს მითითებული, უკიდურეს შემთხვევაში – მრგვალ ფრჩხილებში მაინც.
5. ზემოთ მოყვანილი მონაცემებისა და სტატისტიკური ანალიზის შედეგების საფუძველზე ორთოგრაფიულ ლექსიკონებში **ვინ** ნაცვალსახელის **ღა** ნაწილაკიანი ფორმა რეკომენდებულია წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

ვიღა (//ვინღა) (სახ.): მოთხ. **ვიღამ** (//ვინღა); მიც. **ვიღას** [// ვისღა]; ნათ. **ვიღას**, **ვიღასთვის** (//ვისთვისღა), **ვიღასგან** (//ვისგანღა); ვითარ. **ვიღად**, მოქ. **ვიღათი**.

ნაცვლად არსებული შემდეგი ჩანაწერისა:

ვიღა [//ვინღა]: მოთხ. **ვიღამ**, მიც. **ვიღას** [// ვისღა], ვითარ. **ვიღად**, ნათ. **ვიღას**, მოქ. **ვიღათი** [თოფურია, გიგინეიშვილი 1998: 277].

II. და ნაწილაკიანი რა

და ნაწილაკიანი **რა** ნაცვალსახელის ბრუნვათა ფორმების სტატისტიკური ანალიზისას გამოვლინდა, რომ შეხორცებული წარმოება დამაჯერებლად უპირატესია და სალიტერატურო ენის ნორმით დადგენილ წესს მიჰყვება სახელობით, მოთხრობით, მიცემით და ვითარებით ბრუნვებში, მაგრამ განსხვავებულ ტენედენციას გვიჩვენებს ნათესაობითი ბრუნვის თანდებულიანი, ასევე მოქმედებითი ბრუნვის ფორმები. კერძოდ, **რადასთვის** ჩამორჩება **რისთვისლა** ფორმას გუგლის მონაცემებით 4,5-ჯერ, ქვეკ-ის მიხედვით 4,7-ჯერ; **რადასგან** საერთოდ არ იძებნება. ამ ფონზე მასზე უპირატესია **რისგანლა** ფორმა გუგლის 3 და ქვეკ-ის 2 მაგალითით. დასაშვები **რითლა** აღემატება ძირითადად მიჩნეულ **რადათი** ფორმას გუგლის მონაცემებით 1,9-ჯერ, ხოლო ქვეკ-ის მიხედვით 11-ჯერ.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი*:

რადასთვის – რისთვისლა:

და, თუკი ვინმეს მთელი ძალებით ასპარეზობა არ შეეძლო, მედპერსონალი **რადასთვის** არსებობს?

ისე გაუგებარი კია, მაინც ხომ ტყუილი უნდა თქვან და ამდენი ფიქრი **რადასთვის** სჭირდებათ.

შენ **რისთვისლა** დაეძებ მათ?

... იმან, რამაც ხიდის ქვეშ უნდა იდინოს, აღარ არსებობს, დამშრალია და **რისთვისლა** აშენებენ ამ ხიდებს?

რადასგან – რისგანლა:

მელანს **რისგანლა** აკეთებთ?

ასე თუ დამძობილებულიყვნენ, ის იმდენი უთანხმოება **რისგანლა** იყო...

* მაგალითები მოგვყავს ნორმისგან განსხვავებული შემთხვევებისთვის.

რალათი – რითლა:

...**რალათი** ვიცხოვროთ ამას იქით.

...იქაურები ხორბალს თავადაც მშვენივრად ყიდიან და ბენდუქი-ძემ **რალათი** უნდა ივაჭროს.

მაშ, **რითლა** ხარ გამორჩეული, იმით, რომ კარგი ექიმი, კარგი ინჟინერი, მექანიკოსი ან არქიტექტორი ხარ?

ხომ გაინტერესებთ, ის **რითლა** აღფრთოვანდა ასე უსაზღვროდ და უნაპიროდ!

რეკომენდაციები:

1. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ ნათესაობითი ბრუნვის თანდებულიანი ფორმებისათვის ფაქტობრივად უპირატესია შეუხორცებელი წარმოება, ამიტომ იგი უნდა იქნეს მიჩნეული ძირითად ფორმად;
2. მოქმედებით ბრუნვაშიც შეუხორცებელი ვარიანტები სჭარბობს ძირითადად მიჩნეულ შეხორცებული ბრუნების ფორმებს, ამიტომ კვადრატული ფრჩხილების ნაცვლად ის უნდა წარმოვადგინოთ მრგვალ ფრჩხილებში პარალელურ ვარიანტად მაინც – თუ, საერთოდ, პარალელურ ფორმად – არა.
3. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ორთოგრაფიულ ლექსიკონებში **რა** ნაცვალსახელის **ლა** ნაწილაკიანი ფორმა წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგნაირად:

რალა (სახ.): მოთხ. **რალამ**; მიც. **რალას** [//რასლა]; ნათ. **რალას** [//რისლა], **რისთვისლა** [//რალასთვის], **რისგანლა**; მოქმ. **რალათი** // **რითლა**, ვითარ. **რალად** [//რადლა].

ნაცვლად არსებული შემდეგი ჩანაწერისა:

რალა: მოთხ. **რალამ**, მიც. **რალას** [//რასლა], ვითარ. **რალად** [//რადლა], ნათ. **რალას** [//რისლა], მოქმ. **რალათი** [//რითლა] [თოფურია, გიგინეიშვილი 1998: 426].

ლიტერატურა და წყაროები

გუგლი – გუგლის საძიებო სისტემა: <https://www.google.ge/>
თოფურია 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.

ნორმები 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1986

ქეევი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი: <http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=grc>

Tea Teteloshvili

On Spelling Pronouns with the Particle **-ya** in Modern Georgian

Summary

Due to the constant changes in a language some words may expand or reduce the areas of use over time. That's why it is necessary to revise the literary language norms periodically. In order to study the declension of the pronouns with the particle **-ya** or to identify the current tendency with regard to the Georgian literary language standards, we have used Google Search and the Georgian National Corpus. As a result of the statistical data analysis the following recommendation have been developed

1. The admissible form **viya** should be included in orthographic dictionaries at least as a parallel option in round brackets.
2. We think that it is expedient to carry out the similar approach for the variants **viyam** – **viya**.
3. The form **visya** that is indicated as a parallel option (in the dative case) of the pronoun **viya** in square brackets in the orthographic dictionary should be kept as the data of other cases in general or should be removed from the entry.

4. As for the forms in the possessive case with a postposition, the admissible interfluent ones can be indicated as parallel options or at least should be presented in round brackets.
5. The form of the pronoun **ra** in the possessive case with a postposition and the particle **-ya** should be considered as a basic form as it is mainly characterized by the non-interfluent formation.
6. Among the variants of the pronoun **raya** in the instrumental case the ones in which the particle follows the case marker exceed the ones where the particle precedes the case marker, so it should be presented in round brackets instead of square brackets at least as a parallel option if not as a parallel form.